


## ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

### ნაწილი 3: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 2, საფრთხეების შეფასება



პროფესიონალი ბუღალტრები ხელმძღვანელობენ ეთიკის ძირითადი პრინციპებით, რომლებიც ეხმარება მათ თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში - იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. უნდა შეფასდეს ნებისმიერი საფრთხე, რომელიც ემუქრება ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას. ამისათვის, ბუღალტრებს მოეთხოვებათ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტის გამოყენება, რათა განსაზღვრონ, გამოვლენილი საფრთხე არის თუ არა მისაღები დონის.

მე-2 ნაწილში განვიხილეთ, პირველ რიგში, როგორ უნდა განსაზღვრონ პროფესიონალმა ბუღალტრებმა ის საფრთხეები - ანგარების, თვითშეფასების, ადვოკატირების, ფამილიარული ურთიერთობების, მანტაუსის - რომლებმაც შესაძლოა გალენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე, დაიცვან ეთიკის ძირითადი პრინციპები. შემდეგი ნაბიჯი არის იმის შეფასება, გამოვლენილი საფრთხეები არის თუ არა **მისაღები დონის**.



პროფესიონალმა ბუღალტრმა უნდა გამოიყენოს **გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი**, რათა შეაფასოს, რა დასკვნას გამოიტანდა მესამე მხარე იმასთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა საფრთხე და რა დონისა იგი.

გონიერ და ინფორმირებულ მესამე მხარედ მიიჩნევა პირი, რომელიც შეიძლება არ არის ბუღალტერი, მაგრამ გააჩნია ისეთი დონის ცოდნა და გამოცდილება, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ და ობიექტურად შეაფასოს პროფესიონალი ბუღალტრის გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მართებულობა.

**საფრთხეების შეფასება:** გამოვიყენოთ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი და შევაფასოთ საფრთხეები, რომლებიც გამოავლინა საერთაშორისო სამრეწველო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებზე პასუხისმგებელმა დირექტორმა.

აღმასრულებელმა დირექტორმა წარმოადგინა ერთ-ერთი განვითარებად ბაზარზე საქმიანობის დაწყების გეგმა. თქვენ, როგორც დირექტორი სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებში, არ ხართ დარწმუნებული, რომ მისი გეგმა შესაბამეა მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ ადგილობრივი კანონების მოთხოვნებს.

კომპანიამ ახლახანს დაკარგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაში ბაზრის წილი, რის შედეგადაც მისი აქციების საბაზრო ღირებულება შემცირდა 10%-ით. მომგებიან ბაზარზე შესვლის ახალი სარწმუნო გეგმა აკმაყოფილებს დირექტორთა საჭიროებას და აქციონერთა მოთხოვნებს. ამასთან, აღმასრულებელი დირექტორი დაგვირდათ საკმაოდ მაღალ ბონუსებს, თუ თქვენი გუნდი „საქმეს გააკეთებს, ნებისმიერ ფასად.“

თქვენ გადახედეთ კორპორატივების ელფოსტაზე - ზოგიერთი წერილიდან ჩანს, რომ განხორციელდა თანხების გადარიცხვა გარე საბანკო ანგარიშებზე სამიზნე ქვეყანაში, იმ დროს, როდესაც მუშავდებოდა ახალი ბიზნესგეგმა.

**დირექტორმა გამამართლებელ არგუმენტად შესაძლოა შემდეგი მოსაზრება გამოიყენოს:** „სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობაა დაშვებული. ის რაც ნებადართული არაა ჩემს ქვეყანაში, შესაძლოა მისაღები (ან აუცილებელიც კი) იყოს სხვა ბაზრებზე.“

**დირექტორის მიდგომა შეიცვლება** მაშინ, როდესაც იგი საკითხს განიხილავს გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის მიუკერძოებელი თვალთახედვით. თუ საკითხს განიხილავს მესამე მხარის პოზიციიდან, დირექტორი შეაფასებს სხვადასხვა ტიპის საფრთხეებს და გამოიტანს შემდეგ დასკვნებს:

**1 ანგარება** - დიდი ოდენობის ბონუსის მიღების დაპირების შედეგად დირექტორმა შესაძლოა თავი შეიკავოს ელფოსტაზე აღმოჩენილი წერილების საკითხების გამოძიებისაგან, ნაკლებად ობიექტური გახდეს სიტუაციის შეფასებისას, ან ნაკლები ყურადღებით მიუდგეს შესაბამისი ანტიკორუფციული კანონების შესწავლის საკითხს.

✓ ანგარების საფრთხე, რომელიც ექმნება პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების დასაცემ პროფესიული ქცევის პრინციპებს, არ არის მისაღები დონის.

**2 თვითშეფასება** - დირექტორი არ იყო ჩართული გეგმის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, მცირე საფრთხე იმისა, რომ მას მოუწევს საკუთარი ანალიზის/სამუშაოს შეფასება.

✓ თვითშეფასების საფრთხე არ სცილდება მისაღებ დონეს.

**3 ადვოკატირება** - დირექტორს არ უჭირავს ისეთი პოზიცია, რომ მან ამ სიტუაციაში იზრუნოს კომპანიის პოზიციის განმტკიცებაზე. ადვოკატირების საფრთხე შესაძლოა მნიშვნელოვანი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ დირექტორს შემდგომში სთხოვენ, აქციონერებზე „გაყიდოს“ გეგმა ან „დაიცვას“ იგი საგადასახადო ორგანოების წინაშე.

✓ ადვოკატირების საფრთხე არ სცილდება მისაღებ დონეს.

**4 ფამილიარული ურთიერთობები** - შესაძლოა დირექტორი „ზედმეტად დაახლოებულია“ მოცემულ სიტუაციასთან და განწყობილია, რომ აღმასრულებელი დირექტორის გეგმას დაეთანხმოს, უსიტყოდ სჯერა მისი და დარწმუნებულია კომპანიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სანდოობაში.

✓ ფამილიარული ურთიერთობების საფრთხე, რომელიც ექმნება პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების და ასევე პროფესიული ქცევის პრინციპებს, არ არის მისაღები დონის.

**5 შანტაჟი** - აღმასრულებელი დირექტორის მიდგომა - „ნებისმიერ ფასად“ - შესაძლოა წინასწარ მოაქციოს დირექტორი და უზრალოდ „მართალია“ პასუხის მიებაში მან დაამტკიცოს გეგმა, ვინაიდან მის სამსახურსა და რეპუტაციას საფრთხე ემუქრება.


✓ შანტაჟის საფრთხე, რომელიც ექმნება პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების და ასევე პროფესიული ქცევის პრინციპებს, არ არის მისაღები დონის.

**საფრთხეებზე რეაგირება:** ამ სტატიების სერიის შემდეგ ნაწილში გავიგებთ, როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს დირექტორმა საფრთხეებზე, რომლებიც სცილდება მისაღებ დონეს.

**სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?**

გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას იხილავთ კოდექსის 120.5-ე პუნქტში. კონცეპტუალური მიდგომა წარმოდგენილია კოდექსის 1-ელი ნაწილის 120-ე განყოფილებაში. კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი დებულებები წარმოდგენილია კოდექსის მე-2, 3, 4-ა და 48 ნაწილების მე-200, მე-300, მე-400 და მე-900 განყოფილებებში, შესაბამისად.

[www.IESBAeCode.org](http://www.IESBAeCode.org)-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის დასაცემ კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.



International Federation of Accountants®

International Federation of Accountants  
529 Fifth Avenue, New York 10017  
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 |



@ifac |



company/ifac



International Ethics Standards Board for Accountants®



@ethics\_boardwww.ethicsboard.org

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 3: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 2, საფრთხეების შეფასება“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 3: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 2, საფრთხეების შეფასება“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 3: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 2, საფრთხეების შეფასება“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 3 - The Conceptual Framework, Step 2, Evaluating Threats

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)